

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატა რეგისტრაციის დაწყების, არჩევნების ჩატარების თარიღის დადგენისა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

06 სექტემბერი 2019

დადგენილება N01


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად, გამოცხადდეს არჩევნები.
2. კანდიდატა რეგისტრაცია განხორციელდეს 12 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით.
3. დამტკიცდეს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების, კანდიდატა რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატა შერჩევის შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი N1).
4. რექტორის არჩევნები ჩატარდეს 21 ოქტომბერს.
5. საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება მოხდეს არაუგვიანეს 01 ოქტომბრისა.
6. საარჩევნო კომისიას დაევალოს სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებთან დაკავშირებით შესაბამისი ღონისძიებების გატარება კონსერვატორიის წესდების, რექტორის არჩევის წესისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 სექტემბრის N01 დადგენილების შესაბამისად.
7. დადგენილება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, 12 სექტემბრამდე.
8. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge 12 სექტემბრამდე.
9. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული განცხადების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთში, 12 სექტემბრამდე.
10. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა რევაზ კიკნაძემ ა/წ 12 სექტემბრიდან რექტორის არჩევნებამდე დაიკავოს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა.

11. დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)
12. დადგენილება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

რევაზ კიკნაძე



რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე